

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
მორიგი სხდომის**

ოქმი #6

თარიღი: 27 ოქტომბერი, 2020 წელი

დრო: 16:00 საათი

ადგილი: დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი; მის: ჭავჭავაძის ქ. N14

თავმჯდომარე: გრიგოლ მახარაძე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

მდივანი: თამარ ღლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი.

ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოს შემდეგი წევრები: ოზურგეთის ღვაწლმოსილი მოქალაქე კოტე შავიშვილი, კერძო მეწარმე ია ურუშაძე, მოქალაქე ვლადიმერ ხავთასი, ბიზნესმენი ოთარ ჩხარტიშვილი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი თამაზ ტრაპაიძე, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის იურისტი - ირაკლი პაპავა, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის გამგეობის თავმჯდომარე - ზვიად ერაძე, პროგრესის სახლის თავმჯდომარე მინდია სალუქვაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ოზურგეთის მერიის ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენელი ალექო ბერიძე, ოზურგეთის მერიის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ეკატერინე მგელაძე, მოქალაქე კობა ცერცვაძე,

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ქალაქ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩაზე საფეხმავლო სივრიც მოწყობის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის შეთავაზება: მომხსენებელი: გრიგოლ მახარაძე
2. ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციების შეთავაზება მომხსენებელი: ირაკლი პაპავა
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს ფორმირების შესახებ ინიციატივის განხილვა მომხსენებელი: ალექო ბერიძე

სხდომის მიმდინარეობა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს ფორმირების შესახებ ინიციატივის განხილვა მომხსენებელი: ალექო ბერიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენელმა ალექო ბერიძემ ისაუბრა სამოქალაქო ბიუჯეტების კომპონენტის ფარგლებში საბჭოს შექმნის შესახებ. როგორც აღნიშნა, პოლონეთის სოლიდარობის ფონდი დაინტერესებულია სამოქალაქო ბიუჯეტების პროცესით და მათ ამ მიმართულებით სტანდარტი შექმნეს. სწორედ ამ სტანდარტის ფარგლებში უნდა ფუნქციონირებდეს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო. მისი ძირითადი ფუნქცია იქნება პროექტების შერჩევა. ბატონი ალექოს აზრით, ასეთი საბჭოს არსებობა აუცილებელია, რადგან ამ საბჭოში ადამიანებმა უნდა ისაუბრონ პროგრამის მიმართულებებზე, გადაწყვიტონ სადავო საკითხები. რაც შეეხება შემადგენლობას, ის უნდა მოიცავდეს საუკეთესო შემთხვევაში 5 ადამიანს - ერთი მერიის წარმომადგენელი, ერთი - საკრებულოს, სამი კი უნდა დაასახელოს მრჩეველთა საბჭომ და სასურველია იყვნენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. როგორც აღნიშნა, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დადგენილებაზე. საბჭო ერთხმად დაეთანხმა, რომ დაასახელებს სამ კანდიდატს. გაიმართა მსჯელობა კანდიდატების უფლებამოსილების ხანგრძლივობის თაობაზე.

დასკვნა: დადგენილების დოკუმენტის მიღების შემდეგ, საბჭო დაასახელებს სამ კანდიდატს საბჭოში გასაწევრიანებლად, რისთვისაც შეიძლება დამატებითაც შეიკრიბოს.

2. ნარჩენების მართვის საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციების შეთავაზება მომხსენებელი: ირაკლი პაპავა

ბატონმა ირაკლი პაპავამ გააკეთა ვრცელი პრეზენტაცია **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების შესახებ მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში.**

საკითხი. ირაკლი პაპავა. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვალდებულებები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში.** პრეზენტაცია გადმოვაგზავნილი ირაკლის.

პრეზენტაციის დროს აქცენტი გაკეთდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 7 ნოემბერს N72 განკარგულებით დაამტკიცა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“ (იხ. http://oz.gov.ge/pictures/gankarguleba_2018_72.pdf; http://oz.gov.ge/pictures/gankarguleba_2018_72_dan2.pdf); ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა“ მოიცავს იმ ძირითად საქმიანობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თა და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში. ბატონმა ირაკლიმ დეტალურად ისაუბრა **მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უმთავრესი ვალდებულებების შესახებ, კერძოდ: ნარჩენების მართვის კანონმდებლობის**

ეფექტიანი აღსრულების ნაწილში; ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევის მიმართულებით; სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა / რემედიაციის კუთხით; ქალაქის, მინის, მეტალის და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით; მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისათვის და ეტაპობრივი განხორციელება 2030 წლისათვის; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხზე 2030 წლისათვის. პრეზენტაციის დასასრულს მომხსენებელმა წარმოადგინა რეკომენდაციები:

- ❖ სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა / რემედიაციის“ ვალდებულების ფარგლებში (იხ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა“, ამოცანა 4.1), ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დასახლებებში ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების (ე.წ. „სტიქიური“ ნაგავსაყრელების) სრული ინვენტარიზაცია (ადგილმდებარეობის, მოცულობის, შემადგენლობის იდენტიფიცირება) და ამ ადგილების დასუფთავება და ტერიტორიის აღდგენა;
- ❖ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიგეგმოს და განხორციელდეს ეფექტიანი საინფორმაციო კამპანია მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებსა და კომპონენტებზე საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მათ შორის შესაბამისი ნარჩენების სახეობების იდენტიფიცირების უნარისა თუ მათი სეპარირებული შეგროვების ჩვევათა გამომუშავების მიზნით;
- ❖ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები დასუფთავების მოსაკრებელის გადახდის აუცილებლობის საკითხის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების დონის და ამ საკითხისადმი მისი დადებითი დამოკიდებულების ასამაღლებლად...

პრეზენტაციის ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელსაც შემოუერთდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი კონსტანტინე შარაშენიძე. მან ისაუბრა იაპონიის საელჩოსგან მიღებული გრანტის შესახებ, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი იძენს ნაგვის მანქანის და დამატებით ურნებს. დასძნა, რომ პანდემიის გამო ვერ მოხერხდა შეძენა. მან ასევე სახვადასხვა ქვეყნის გამოცდილებასაც გაუსვა ხაზი ამ კუთხით.

რეკომენდაცია: საბჭომ დააყენოს შუამდგომლობა, რათა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გაჩნდეს დაფინანსება ზემოთხსენებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ბატონმა კოტემ ქალაქის ტერიტორიაზე მოხეტიალე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პრობლემის შესახებ ისაუბრა. აქვე აუდოტიორიამ კვლავ წამოსწია მაწანწალა ძაღლების თემაც.

საბჭოს გადაწყვეტილება: არჩევნების შემდეგ საბჭო შეიკრიბოს ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ჩატარდეს რიგგარეშე სხდომა და ვიმსჯელოთ საკითხის მოგვარების გზებზე.

1. ქალაქ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩაზე საფეხმავლო სივრიც მოწყობის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის შეთავაზება: მომხსენებელი: გრიგოლ მახარაძე

მომხსენებელმა გრიგოლ მახარაძემ ისაუბრა სანაპიროს, გრიბოედოვის და თაყაიშვილის ქუჩების საკითხის შესახებ. კერძოდ, აღნიშნა, რომ სანაპიროს ქუჩა, ორზოლიანია. არსებული სამანქანო მოძრაობის ტრაფიკის გათვალისწინებით, ერთი ზოლის საკმარისია ორივე მიმართულებით გადაადგილებისთვის. ურბანისტის რჩევით, არსებობს მოსაზრება მდინარის პირას არსებული ზოლის საფეხმავლო სივრცედ გადაკეთების შესახებ. მრჩეველთა საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ იდეას და თანხმობა გამოთქვა შემდგომი ქმედებების განხორციელებისთვის.

რეკომენდაცია იქნება გამოცხადდეს არქიტექტურული კონკურსი აღნიშნული ტერიტორიის მოწყობის გეგმის შესამუშავებლად.

დასასრულს რამდენიმე დამატებითი საკითხის შესახებ ისაუბრა აუდოტირიათ:

კონსტანტინე შარაშენიძემ ისაუბრა ყოფილი საავადმყოფოების ტერიტორიის ათვისების შესახებ. შეიძლება კერძო ინვესტორის შემოყვანა ახალი ბინათმშენებლობისთვის. გენგეგმით აუცილებლად უნდა განისაზღვროს რა საბინაო ფონდი სჭირდება ოზურგეთს და სწორედ ამაზე უნდა დაეფუძნოს ბინათმშენებლობა.

გრიგოლ მახარაძემ გამოთქვა მოსაზრება ინვესტორის შემოყვანის მიმართულებით ახალი ალტერნატიული სამედიცინო ცენტრის გახსნის შესახებ.

თამაზ ტრაპაიძემ ისაუბრა კვირიკეთში საყანე ფართობების დატბორვის შესახებ. რაზედაც ბატონმა მერმა უპასუხა, რომ წყლის გადმოგდება მოხდა კარიერზე სამუშაოს მწარმოებელი ლიცენზიანტი კომპანიების მიერ, რის გამოც წყალმა შეიცვალა მიმართულება და შემოვიდა ყანებში.

სხდომის დამსწრე, დაინტერესებულმა პირმა კობა ცერცვაძემ ისაუბრა სოფელ თხინვალში მისი სარგებლობის ქვეშ მყოფ ფართთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ბატონმა მერმა ურჩია, რომ ხსენებული საკითხი არჩევნების მერე გადაიხედოს ლეგალიზაციის კომისიასთან ერთად.

თავმჯდომარე:



გრიგოლ მახარაძე